

Share

0

More

Next Blog»

Create Blog Sign In

სამხრეთის კარიბჭე

მთავარი	ვინ ვართ ჩვენ	ავტორები	ფინანსური მხარდამჭერები	სასარგებლო ბმულები	კონტაქტი
---------	---------------	----------	-------------------------	--------------------	----------

უგულვებელყოფილი რისკები



საერთო ეკოლოგიური საფრთხე საქართველოსა და სომხეთისთვის. საქართველოსთან ახლოს მძიმე ლითონებით დაბინძურებული, ნახევრადთხევადი ნარჩენების შემგროვებელი კონსტრუქცია შენდება.

თეგუტში, სომხეთის ტერიტორიაზე, სომხური კომპანია **Armenian Copper Program**-ი სპილენძისა და მოლიბდენის მოპოვების სამუშაოებს ახორციელებს. თეგუტის საბადო ხანაძორის ხეობაში, საქართველოდან 10-15 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. საწარმოს ინდუსტრიული ნარჩენები, რადონობის მიხედვით, სომხეთში ყველაზე დიდი – 180-200 მილიონი კუბური მეტრი იქნება.

პროექტით 4 კილომეტრი სიგრძისა და 7 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის კუდსაცავის მშენებლობა გათვალისწინებული. მძიმე ლითონებით დაბინძურებული, ნახევრადთხევადი ნარჩენების შემგროვებელი კონსტრუქცია მდინარე შნოლის აუზშია. შნოლი დეხედას ერთ-ერთი მთავარი შენაკადია, დეხედა კი სომხეთიდან საქართველოში მოედინება და მდინარე ხრამს უერთდება.

იმისთვის, რომ ხანაძორის ხეობის ამ ტერიტორიაზე კუდსაცავი აეშენებინათ, ტყის 7-კილომეტრიანი მასივი გაიჩეხა. ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად ხეობის ამ ნაწილის გათხრა სომხურმა კომპანიამ ორი წლის წინ დაიწყო. თუმცა, ტრანსსასაზღვრო დაბინძურების რისკები მას დღემდე არ შეუსწავლია.

“სომხური არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, მოპოვებითი სამუშაოები გამოიწვევს ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურებას, ბიომრავალფეროვნების დაკარგვასა და ეკოსისტემის განადგურებას ხანაძორის ხეობაში. ტყის მასიური ჭრა კი გაზრდის მეწყერებისა და წყალდიდობების რისკს”, - ამბობს ასოციაცია “მწვანე ალტერნატივას” დირექტორი მანანა ქოჩლაძე.

თუმცა მისი თქმით, ყველაზე დიდი რისკი დაკავშირებულია კუდსაცავთან, რომელმაც მილიონობით ტონა ტოქსიკური ნარჩენი უნდა შეაკავოს. რადგან კუდსაცავის ნებისმიერი გაუხონვა შეუქცევად ზიანს მიყენებს არამხოლოდ სომხეთს, არამედ საქართველოსაც, ტოქსიკური ნივთიერებები კი ტრანსსასაზღვრო მდინარე დეხედაში მოხვდება: “ყოველდღიურ საშომროებას წარმოადგენს, როგორც მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, ისე დროთა განმავლობაში, კუდსაცავისა და ზედაპირის დაშრობის შედეგად, ჰაერით ტოქსიკური ნივთიერებების გადატანა”.

კუდსაცავში შენახული ნახევრადთხევადი ნარჩენები კი ისეთ მძიმე ლითონებს შეიცავს, როგორებიცაა სპილენძი, ვერცხლი, მოლიბდენი. ამ ლითონებით დაბინძურებული მდინარით მორწყული ნიადაგიდან მძიმე ლითონები საკვებ ჯაჭვში გადადის და ონკოლოგიური და კანცეროგენული კერების საფრთხეს წარმოშობს.

ქოჩლაძის განმარტებით, სომხური კომპანიის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია არ მოიცავს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმას, რის გამოც ნებისმიერი ავარიის შემთხვევაში, ორივე ქვეყნის მოსახლეობა შესაძლოა მიიმე დაზარალებს.

შესაძლო ტრანსსასაზღვრო რისკების განსახილველად “მწვანე ალტერნატივამ” და სომხურმა თეგუტის ტყის დამცველმა ჯგუფმა, ერევანში კონფერენცია მოაწვევს და მასში როგორც სომხური, ასევე ქართული მთავრობების ჩართვასაც ეცადნენ, თუმცა უშედეგოდ – არცერთი სამინისტრო კონფერენციაზე არ გამოცხადდა.

“სომხეთის ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ იყო ჩართული ქართული მხარე, რადგან საქართველო დღემდე არ არის მიერთებული ესპოს კონვენციას “ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ”, - აცხადებს ქოჩლაძე და ამატებს, რომ სომხურმა მხარემ ნებართვის გაცემის პროცესში სრულად დაარღვია ორპუსის კონვენციით აღებული ვალდებულებები და არ უზრუნველყო საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მეზნა საიტზე

სიახლეების გამოწერა

- Posts
- Comments

რუბრიკები

- ანონსი (11)
- ახალი წელი (1)
- განათლება (157)
- ეკონომიკა (3)
- ეკონომიკა (149)
- კულტურა (35)
- ნიუსები (12)
- პოლიტიკა (138)
- რეგიონი (100)
- რეკლამა (5)
- რელიგია (6)
- რეპორტაჟი (8)
- საავტორო სვეტი (12)
- საახალწლო ნომრის კურიოზები (3)
- საზოგადოება (124)
- სამართალი (28)
- სამშობლო (1)
- სკოლა (1)
- სპორტი (23)
- უფლება გაქვს იცოდე (4)
- ფოტორეალდება (1)
- ფოტორეპორტაჟი (7)
- ჩვენი ფილმები (8)
- ჯანდაცვა (80)

არქივი

- 2012 (32)
- ▼ 2011 (339)
 - December (16)
 - November (45)
 - October (30)
 - September (18)
 - July (44)
 - June (41)
 - May (21)
 - April (50)
 - ▼ March (47)

საავტომყოფო
კულტურული
მემკვიდრეობის

5-მა ქართულმა და 25-მა სომხურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს განცხადებით მიმართა: გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები თეგუტის პროექტის ზემოქმედებისაგან გარემოსა და მოსახლეობის დასაცავად.

“განცხადება პრემიერ მინისტრს, გარემოსდაცვის სამინისტროს და საერთაშორისო ორგანიზაციებს წარვუდგინეთ, თუმცა დღემდე არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია”, - გვიხსნის ქოჩლაძე.

რა ღონისძიებების გატარებას აპირებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, ან რატომ არ მოხდა აქამდე ესპოს კონვენციის რატიფიცირება, რის შემდეგაც სომხური მხარე ვალდებული იქნებოდა პროექტის შესახებ ინფორმაცია საქართველოსთვის მოეწოდებინა, ამ კითხვებზე “სამხრეთის კარიბჭემ” გარემოსდაცვის სამინისტროსგან პასუხი ვერ მიიღო. ქოჩლაძის განცხადებით, კი აღნიშნული კონვენციის რატიფიცირების საკითხი ქვეყანაში არა ერთხელ დამდგარა: “უამრავ პროექტს შორის, სომხეთში ატომური რეაქტორის მშენებლობის საკითხიცაა, რომელზეც ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესწავლა აუცილებელია”.

თამუნა უჩიძე, ახალციხე

на Tuesday, March 15, 2011

Recommend this on Google

რუბრიკა რეგიონი

No comments:

Post a Comment

დატოვე კომენტარი

Enter your comment...

Comment as: Google Account

Publish Preview

Newer Post

Home

Older Post

Subscribe to: Post Comments (Atom)

ნაცვლად

ეკოლოგიური საფრთხეები და დასაქმების პრობლემა.

“მარტივი და მეგობრული გამოცდები”

მესამე სასწავლო ოლიმპიადა დასრულდა

ქართულ-სომხური თანამშრომლობა

ახალი ხელმძღვანელობა - ახალი წესები

“სახადი” დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის

უსაფუძვლო მღელვარება

ნომრების პორტირება - წაგებულები და მოგებულები

“მვირი” გაზაფხული

“თევზის ჩუქებას, ჯობია ადამიანს თევზის ჭერა ასწავლ...”

ნაკლები დაფინანსება და მეტი თავისუფლება

აბიტურიენტთა რეგისტრაცია სრულდება

სუბტიტრები - დაზნარება თუ “მაღაღობა”

ინფლაცია - მიზეზები და შედეგები

“სამხრეთის კარიბჭე” #07(319)

სოფლის მეურნეობა - პრობლემები და გადაჭრის გზები

მუსლიმანი მესხების მოლოდინი

უგულბელოფილი რისკები

სერტიფიცირება - წელი მეორე

იურიდიული კონსულტაციები სოფლებში

საქველმოქმედო ღონისძიება

პროექტები ახალგაზრდებისთვის

ახალი სეზონი მესხეთის თეატრში

“გზა თეატრისკენ”

მაღაღობა სიღარიბის გავლენით

სკოლაში თუ ბაღში?

უწყებები “ერთი ფანჯრის პრინციპით”

სახელმძღვანელოები ისევ იცვლება

ცხოვრება მუდმივი მოლოდინით

“სახალხო მანიფესტი” - გზა მოქალაქეთა